დ. გველესიანი. ხუფა - საქორწინო რიტუალი
D. Gvelesiani. Khupa – ritual of wedding ceremony 1936

გაბროილოვი. კაბალული - პატარძლის ცეკვა
Gabroilov. Kabaluli – bride's dance 1936

შ. კობოშვილი. აჯლა
Sh. Koboshvili. Ajla – wedding room 1939

www.museum.ge
facebook.com/GNMuseum

დ. გველესიანი. ებრაელი პატარძალი
D. Gvelesiani. The Jewish bride. 1937

ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი).XIX ს.
Golden robe (The bride's wedding dress). 19th C.

ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი).XIX ს.
Golden robe (The bride's wedding dress). 19th C.

შ. კობოშვილი. ახალციხელი ებრაელი პატარძალი 1940
Sh. Koboshvili. The Jewish bride from Akhaltsikhe 1940

საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum

ებრაული კულტურული მემკვიდრეობა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

Jewish Cultural Heritage in the Collections of
Georgian National Museum

ებრაული ქორწინების ტრადიცია საქართველოში

Jewish Wedding Traditions in Georgia

საქართველოში ებრაელი ხალხის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ებრაელთა პირველი მიგრაცია და მათი მცხეთაში დამკვიდრება ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. შემდგომშიც არ შემწყდარა ებრაელთა მიგრაცია და მათი დასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მიუხედავად თანამდევი ასიმილაციისა, ქართველმა ებრაელობამ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა საკუთარი რელიგია, ტრადიციები და თვითმყოფადი კულტურა.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში 1933-1951 წლებში ფუნქციონირებდა. საქართველოში ებრაელთა კულტურისა და ყოფის ამსახველი სამუზეუმო კოლექცია რეგიონალური სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების საფუძველზე შეგროვდა. აქ წარმოდგენილია ეთნოგრაფიული, რელიგიური თუ რიტუალური დანიშნულების ნივთები, ხელნაწერები, სამოსი, ქსოვილები, აქსესუარები, ასევე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც 1930-იან წლებში მუზეუმისთვის საგანგებოდ შეიქმნა. შალომ კობოშვილისა (1876-1941) და დავით გველესიანის (1890-1949) ნამუშევრებში განსაკუთრებით საინტერესოდ და ხატოვნადაა გადმოცემული ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

1951 წელს, მუზეუმი დაიხურა, როგორც სიონიზმის კერა, ხოლო სინაგოგის შენობის კონფისკაციის შემდგომ, კოლექციები გადანაწილდა სხვადასხვა მუზეუმში, სადაც ეს ექსპონატები დღემდეა დაცული. 2014 წელს აღდგენილ დავით ბააზოვის ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციაში ამ კოლექციის ნაწილია გამოფენილი.

ებრაული ქორწინების ტრადიცია საქართველოში ბევრ საინტერესო რიტუალსა და წეს-ჩვეულებას მოიცავს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რომლებიც ასახულია შ. კობოშვილისა და დ. გველესიანის ნამუშევრებში და გამდიდრებულია ეთნოგრაფიული ექსპონატების კოლექციით. “შაქარ-პური” (ნიშნობის ცერემონია), “პატარძლის წაყვანა აბანოში” ებრაელთა უძველესს საინტერესო ტრადიციას – სინაგოგასთან არსებული რიტუალური დანიშნულების აბანოში ”მიკვეში” პატარძლის განბანასა და სულიერი განწმენდის რიტუალს ასახავს, “აჯლა – საქორწინო ოთახი” კი, ახალციხელი ებრაელებისათვის დამახასიათებელი რიტუალია. კობოშვილის ნამუშევრები განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს – წარმოშობით ახალციხელი მხატვარი ასახავს იმ განსაკუთრებულ რიტუალებს, რომლებიც ამ რეგიონში დასახლებული ებრაელებისთვისაა დამახასიათებელი, მკაფიოდ გამოხატული აღმოსავლური გავლენით. კობოშვილის ნარატიული ხასიათის სურათები ქართველ ებრაელთა ცხოვრების მემატიანეა.

History of Jewish people in Georgia commenced thousands of years ago. According to “Kartlis Tskhovreba” (Life of Kartli), a collection of Georgian chronicles, compiled in the Middle Ages, the first migration of Jews and their settling in Mtskheta was in the 6th century BC. Later migration of the Jews to Georgia has taken place several times and they settled in different regions.

Irrespective of certain assimilation, Georgian Jews have maintained their religion, traditions and originality for many centuries.

Historical-ethnographic museum of Georgian Jews operated in Georgia in 1933-51 period. Its collection was created on the basis of regional scientific-ethnographic expeditions. Collection of the museum illustrates the culture and everyday life of the Jews in Georgia. It includes the ethnographic, religious, ritual items, manuscripts, garments, cloths, accessories, paintings and drawings depicting life of Georgian Jews by the artists Shalom Koboshvili (1876-1941) and David Gvelesiani (1890-1949) created especially for the museum in 1930-ies. In 1951 the museum was closed as the center of Zionism and after seizure (confiscation) of Synagogue building the collection was distributed (moved) to different museums and the exhibits are maintained (kept) there up to present. Part of these collections is represented on the exhibition in the David Baazov museum of Jewish History after it’s re-establishment in 2014.

Jewish Wedding tradition in Georgia includes many interesting rituals and customs, with specific characteristics in each region, as illustrated in the works of Sh. Koboshvili and D. Gvelesiani and collection of ethnographic materials. “Sugar-Bread” (Engagement ceremony), “Taking a Bride to the bath”– ancient Jewish tradition–rising and spiritual purification of the bride at the “Mikve” - ritual bath of synagogue, “Ajla – the wedding room” is a special ritual of the Jews of Akhaltsikhe. Koboshvili’s works deserve particular interest. The painter who grew up in Akhaltsikhe depicts the special rituals characteristic for the Jews living in the region, with apparent oriental influence. Koboshvili’s narrative pictures create chronicals of the life of Georgian Jews.

შ. კობოშვილი. შაქარ-პური. სიტყვის გატანა. 1939
Sh. Koboshvili. Sugar and Bread. Engagement. 1939

შ. კობოშვილი. საქორწინო კაბის გამოჭრა. 1939
Sh. Koboshvili. Pattering of a wedding dress. 1939

ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი). XIX ს.
Golden robe (The bride’s wedding dress). 19th C.

წინდები. XIX ს.
Socks. 19th C.

ნაზნაზი. XIX ს.
Pattern of silk. 19th C.

პატარძლის პირსახოცი. XIX ს.
Bride’s towel. 19th C.

საქორწილო ლარნაკი. XIX ს.
Wedding vase. 19th C.

შ. კობოშვილი.
ახალციხელი
ებრაელი პატარძალი
Sh. Koboshvili. The Jewish bride from Aklaltsikhe
1939

შ. კობოშვილი.
ახალციხელი
ებრაელი ნეფე
Sh. Koboshvili. The Jewish groom from Akhaltsikhe
1940

ქეთუბა (საქორწინო ხელშეკრულება. XIX ს.
Ketubah (mariage contract). 19th C.

დ. გველესიანი. პატარძლის ხელების შეღებვა ინით. 1936
D. Gvelesiani. Colouring the bride’s hands. 1936

შ.კობოშვილი. ჯეიზი - მზითვის აღწერა. 1939
Sh. Koboshvili. Jayzy – The inventory of trousseau. 1939